Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№5, ივნისი, 2018

ახალგაზრდა ქალების რეპრეზენტაცია 2015-2017 წლების ჰოლივუდის ფილმებში

ლიკა ფეიქრიშვილი, თათია ნადირაშვილი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: likaapeikrishvili@gmail.com

tatianadirashvili7@gmail.com

აბსტრაქტი

პოპულარული კულტურის მიერ გაგზავნილი მესიჯები, ქალების გარეგნული და პიროვნული თვისებების შესახებ, მეტ-ნაკლებად აყალიბებს საზოგადოებრივ შეხედულებებს მათ მიმართ. სწორედ ამიტომ, კვლევის მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდა ქალების რეპრეზენტაციის შესწავლა 21-ე საუკუნის ჰოლივუდის ფილმებში. კერძოდ, ის, თუ როგორ ხასიათდებიან ახალგაზრდა ქალები ფილმებში, როგორია ახალგაზრდა ქალ და მამაკაც პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება და როგორია დამოკიდებულება თავად ახალგაზრდა ქალ პერსონაჟთა შორის. ამ საკითხების უკეთ შესასწავლად შეირჩა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მეთოდი - კონტენტ-ანალიზი. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა შემთხვევით შერჩეული 10 ჰოლივუდური დრამის შინაარსი. კვლევისას მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგადგამოვლინდა, რომ ახალგაზრდა ქალები ძირითადად წარმოდგენილნი არიან ფემინური გარეგნობითა და თვისებებით და აქვთ დაბალი თვითშეფასება. ისინი წარმოადგენენ მამაკაც პერსონაჟთა ემოციურ მხარდამჭერებს და მზად არიან, უარი თქვან საკუთარ კარიერულ განვითარებაზე ოჯახის შესანარჩუნებლად. რაც შეეხება ახალგაზრდა ქალებს შორის ურთიერთობებს, ეს უკანასკნელი, უმეტესად, გამოხატულია პაექრობასა და კონკურენციაში, თუმცა, აგრეთვე გვხვდება მათი მეგობრული დამოკიდებულებაც. შეჯამების სახით, კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდა ქალ პერსონაჟთა რეპრეზენტაციისას დომინირებს მათი მოწესრიგებული იმიჯი, ემპათიური, მგრძნობიარე ბუნება და არასაკმარისი თავდაჯერებულობა, რის გამოც, შერჩეულ ფილმებში მათ, ხშირად, პასიურ და დაქვემდებარებულ პოზიციებში ვხვდებით.

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდა ქალები; რეპრეზენტაცია; გენდერი; ფილმი; კონტენტ-ანალიზი.

შესავალი

გენდერული თემატიკის კვლევა საქართველოში ბოლო ათწლეულებია საკმაოდ აქტუალური გახდა. მიუხედავად ამისა, მედიისა თუ პოპულარული კულტურის მიერ ახალგაზრდა ქალების რეპრეზენტაციის შესწავლა არც ისე ხშირია, რაზეც ამ საკითხის ირგვლივ არსებული კვლევების სიმცირე მეტყველებს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული თემატიკის შესწავლა საინტერესო და საჭიროც კი აღმოჩნდა, იქიდან გამომდინარე, რომ როგორც არაერთი ბოლოდროინდელი კვლევა მოწმობს, მედიისა და კინოსამყაროს მიერ წარმოჩენილი ქალების გარეგნული და პიროვნული თვისებები, მეტ-ნაკლებად აყალიბებს საზოგადოებრივ შეხედულებებს მათ მიმართ. ეს კი, თავისთავად, მდედრობითი სქესის წარმომადგენლების შესახებ სტერეოტიპებისა და კლიშეების წარმოქმნასა და კვლავწარმოებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, კინოეკრანებზე წარმოდგენილ პერსონაჟთა ქცევა და ის, თუ რა თვისებები მიეწერებათ მათ, განსაზღვრავს მოლოდინებს კონკრეტული გენდერის მიმართ. ეს თვისებები შესაძლოა სინამდვილეს აცდენილი იყოს და აყალიბებდეს არაჯანსაღ დამოკიდებულებებს ქალების მიმართ.

ამ საკითხის აქტუალობამ და ახალგაზრდა ქალების რეპრეზენტაციის შესწავლის საჭიროებამ გამოიწვია მკვლევრული ინტერესი და, სწორედ ამიტომ, შეირჩა 21-ე საუკუნის ბოლოდროინდელი, კონკრეტულად, 2015-2017 წელს ჰოლივუდის მიერ გადაღებული ფილმები, რომელთა საშუალებითაც, კონტენტ-ანალიზის გამოყენებით, შესაძლებელი გახდებოდა ქალთა იმიჯზე, ქცევებსა და თვისებებზე დაკვირვება. ჰოლივუდის პროდუქციაზე კი არჩევანი იმიტომ შეჩერდა, რომ დასავლური, კონკრეტულად კი ამერიკული კულტურა, ზოგადად, დიდი გავლენის მქონეა გლობალიზაციის ეპოქაში და საქართველო, ისევე, როგორც ბევრი სხვა ქვეყანა, ამ პროდუქციის ხშირი მომხმარებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰოლივუდის გავლენა ქართულ საზოგადოებაზეც ვრცელდება.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ამ საკითხის ირგვლივ არსებული კვლევების სიმწირეა, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად ამ საზოგადოებისთვის სწორედ ქართული რეალობის შესწავლაა აუცილებელი და რელევანტური. შეიძლება ითქვას, რომ ამ კვლევით მიღებული შედეგების გარკვეული ნაწილი (თუმცა, არა უკლებლივ თითოეული მათგანი) ქართულ რეალობას შეესაბამება. მაგალითად, ის, რომ ახალგაზარდა ქალები წარმოჩინდებიან, ძირითადად, ფემინურ, ნაზ და მომთმენ პერსონაჟებად, რომელთა ცხოვრების მთავარი დანიშნულება მამაკაცების მხარდაჭერა და ოჯახის მოვლაა, სრულიად მიესადაგება ქართული საზოგადოების მოლოდინებსა და დამოკიდებულებებს მდედრობითი სქესის წარმომდაგენელთა მიმართ. თუმცა, მეორეს მხრივ, ახალგაზრდა ქალების სხეულთა სექსუალიზება, და ზოგადად, სიშიშვლე, მეტ-ნაკლებად, შორსაა ქართული რეალობისგან, გამომდინარე იქედან, რომ სექსუალობა და სიშიშვლე ჯერ კიდევ ტაბუდადებული თემაა ამ საზოგადოებაში.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

ჯინ სტოკარდისა და მირიამ მ. ჯონსონის (1992) ნაშრომის, „სქესი და გენდერი საზოგადოებაში“ მიხედვით, ქალები და მათი სხეულები, დროის ცვლილების მიუხედავად, მაინც რჩებიან ეკრანებზე. მათი საგამოფენო ობიექტებად წარმოდგენის პრაქტიკას აძლიერებს ნახევრადშიშველი, მიმზიდველი და სექსუალური ქალების გამოსახვა თითქმის ყველა სახის საყოფაცხოვრებო პროდუქტის რეკლამაზე. აქედან გამომდინარე, ქალები საკუთარ სახეებსა და სხეულებს აღიქვამენ, როგორც ობიექტებს და მუდმივად ცდილობენ გააუმჯობესონ საკუთარი გარეგნობა იმისათვის, რომ მოერგონ პოპ-კულტურის მიერ დამკვიდრებულ სილამაზის საყოველთაო სტანდარტებს. „საკუთარი თავის ობიექტად წარმოდგენის ფსიქოლოგიური ეფექტი ქალთა მიერ თავიანთი პიროვნების ნამდვილ, რეალურ ადამიანებად აღქმის სირთულეში გამოიხატება“ (Stockard & Johnson, 1992, p. 223).

ამ კუთხით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, რასაც რებეკა კოლინსის მიერ 2011 წელს ჩატარებული კვლევა „გენდერული როლების კონტენტ-ანალიზი მედიაში: სად ვართ ახლა და სად უნდა წავიდეთ?“ მოწმობს. კვლევის თანახმად, ქალები დაკნინებულად არიან წარმოჩენილნი მასმედიის მიერ. ისინი ხშირად ნეგატიური კუთხით გამოისახებიან და მათი იმიჯი სექსუალიზდება. აღსანიშნავია, რომ კოლინსის საინფორმაციო მასალას წარმოადგენდა ჟურნალ „Sex Roles”-ის 2010-2011 წლებს 20 სტატია. კვლევის მიხედვით, ქალები, ტრადიციულად, ნაჩვენები არიან ფემინურ როლებში: არაპროფესიონალები, დიასახლისები, ცოლები, დედები და ქმრების სექსუალური მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებლები. როგორც კოლინსი წერს:

> *„ნაკლებად სავარაუდოა, რომ სექსუალური შინაარსის ან ნახევრად შემოსილი ქალების ფოტოების ჩვენება წაახალისებს პრობლემატური სხეულის სახეს გოგონებში ან გააუარესებს მათ თვითშეფასებას. სიშიშვლე არ არის საჭირო იმისთვის, რომ ბიჭებმა დაინახონ გოგონები და ქალები, როგორც ობიექტები. თუმცა, ჰიპერსექსუალიზებულად და იდეალურად* წარმოდგენილი სხეულის ტიპების შემთხვევაში, ასეთი გავლენა თეორიულად მოსალოდნელია“ (Collins, 2011, p. 294).

ამავე გავლენაზე საუბრობენ მერი ლინჩი და ბარბარა მეიერსი სტატიაში „მოზარდის თვითშეფასება და გენდერი: სექსუალური შევიწროების, სხეულის სქემის, მედიის გავლენისა და ემოციური გამოხატულების კავშირის შესწავლა“ (1999). მათი თქმით, კულტურული გენდერული გამოსახულებები, რომლებიც ტელევიზიის, ფილმებისა და რეკლამების საშუალებით გადაიცემა, ზეგავლენას ახდენს მოზარდების მიერ საკუთარი ფიზიკური მონაცემების შეფასებაზე. მოზარდი გოგონების თვითშეფასების ხარისხი პირდაპირ კავშირშია მათ სხეულებთან. ლინჩისა და მეიერსის მონაცემები ცხადყოფს, რომ ის გოგონები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კულტურის იდეალურ ტენდენციებს ერგებიან, თავს ბევრად კარგად გრძნობენ (Lynch & Myers, 1999).

პოპ-კულტურა და მედია რომ უნაკლო და სრულყოფილი გარეგნობის მქონე პერსონაჟების შექმნით აყალიბებს შეუძლებელი სილამაზის სტანდარტებს, საბრინა ფიშერის 2010 წლის კვლევაშიც კარგად ჩანს. სწორედ აღნიშნული სტანდარტები უწევს პოპულარიზებას პლასტიკურ ოპერაციებს, იწვევს ფსიქოლოგიურ აშლილობებსა და კვებით პრობლემებს (Fischer, 2010). „მედიაში, განსაკუთრებით რეკლამებში, სატელევიზიო შოუებსა და ფილმებში, დიდი ყურადღება ექცევა მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა გარეგნობას და, ძირითადად, მათი სხეულები გამოსახულია, როგორც გამხდარი და სექსუალური“ (Fischer, 2010, p.25). ავტორი აღნიშნავს, რომ ყველაზე მეტად ამ დროს ზარალდებიან მოზარდი გოგონები, რომლებიც მარტივად ექცევიან გენდერული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ, გამომდინარე იქედან, რომ ისინი ღელავენ თავიანთ გარეგნობაზე და საკუთარ სხეულებს ადარებენ მსახიობების, მოდელებისა და სხვა ცნობილი ადამიანების სხეულებს, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს კიდეც ახალგაზრდა გოგონებში თვითშეფასების დაქვეითებას და საკუთარი თავის აღქმის გართულებას (Fischer, 2010).

სამწუხაროდ, მედიისა და მასობრივი კულტურის სხვა საშუალებების მხრიდან მდედრობითი სქესის რეპრეზენტაცია უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში უცვლელი დარჩა და, როგორც გაი კირბი ლეტსი აღნიშნავს, ქალებს კვლავ მამაკაცებზე დამოკიდებულებსა და პასიურ პოზიციებში მყოფებს ვხედავთ (Letts, 2008).

2. მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო ახალგაზრდა ქალების რეპრეზენტატულობის შესწავლა 2015-2017 წლების ჰოლივუდის ფილმებში. მიზნიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა კვლევითი კითხვა: როგორ არიან წარმოდგენილნი ახალგაზრდა ქალები ჰოლივუდის ფილმებში?

ძირითადი ამოცანები: 1. როგორ ხასიათდებიან ახალგაზრდა ქალები ფილმებში? (იგულისხმება თვისებები, ქცევები, აღქმები, ფსიქოლოგიური პორტრეტი, თვითშეფასება, გარეგნობა); 2. როგორია ახალგაზრდა ქალ და მამაკაც პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება? 3. როგორია ურთიერთდამოკიდებულება ახალგაზრდა ქალ პერსონაჟთა შორის?

საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით განისაზღვრა თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მეთოდის - კონტენტ-ანალიზის გამოყენება. როგორც ცნობილია, კონტენტ-ანალიზი წერილობითი, აუდიო და ვიზუალური მონაცემების შინაარსის დეტალური ანალიზის, შესწავლისა და დასაბუთების ზუსტი და თანმიმდევრული პროცედურების ერთობლიობაა (Flick 1998: 192; Mayring 2004: 266). იგი იმ მნიშვნელოვანი პრობლემების შესასწავლად გამოიყენება, რომლებიც თავს იჩენს კულტურის, სოციალური სტრუქტურისა და სოციალური ურთიერთქმედების თანხვედრისას. კრიპენდორფის მიხედვით, ეს არის „კვლევის ტექნიკა, რომელიც ტექსტებიდან (ან მნიშვნელობის მქონე სხვა შინაარსიდან) მათი (ამ ტექნიკების) გამოყენების კონტექსტის შესახებ გამეორებადი და ვალიდური დასკვნების გასაკეთებლად არის განკუთვნილი“ (Krippendorff, 2003: 18). იგი შეიძლება მივიჩნიოთ დაკვირვების ერთ-ერთ მეთოდადაც, რადგან მკვლევარი იღებს უკვე წარმოებული კომუნიკაციის ასლს და სწავლობს მას. კონტენტ-ანალიზი კვლევის პროცესში მის დადებით მხარეს წარმოადგენდა ის, რომ მასალაზე წვდომა მარტივი იყო და მცირე დროის პერიოდში დეტალური ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლეოდა. გარდა ამისა, სხვა

მეთოდებისგან განსხვავებით, ნაკლებ ხარჯსა და რესურსს მოითხოვდა, იქიდან გამომდინარე, რომ მონაცემების შეგროვება ხდებოდა ვიზუალური საშუალებიდან - სრულმეტრაჟიანი ფილმიდან და არა სუბიექტისგან. წინასწარ იყო განსაზღვრული გარკვეული სტანდარტები, რომელთა დაცვითაც მიიღებოდა სასურველი შედეგი. თუმცა, კვლევის პროცესში გამოიკვეთა მეთოდის სუსტი მხარეებიც. კერძოდ, ფილმების ყურება საკმაოდ დამღლელი და შრომატევადი პროცესია და სიღრმისეულ დაკვირვებასთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, კონტენტ-ანალიზი თავისი არსით უფრო მეტად სუბიექტურია, შესაბამისად, განსხვავებულია თითოეული ადამიანის ინტერპრეტაციაც.

გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა 21-ე საუკუნის ჰოლივუდური დრამები, რომლებიც შემთხვევითი შერჩევის პრინციპითა და გარკვეული კანონზომიერების დაცვით შეირჩა. კერძოდ, საკვლევი ბაზიდან (adjaranet.com) აღებულ იქნა 2015-2017 წლების ყოველი მე-12 ამერიკული დრამა, რომელთა რეიტინგიც IMDB-ზე (ფილმების, მსახიობების, ტელეგადაცემების, სერიალების და ვიდეო თამაშების ინფორმაციის უმსხვილესი ონლაინ ბაზა) 6-ზე მაღალი იყო. კვლევის ფარგლებში შერჩეული იყო 10 ფილმი:

1. „დიდებული შოუმენი“ („The Greatest Showman“) (Mark & Gracey, 2017). IMDB – 7.8;
2. „წყვდიადის ცხოველები“ („Nocturnal Animals“) (Salerno & Ford, 2016). IMDB – 7.5;
3. „თინეიჯერი გოგოს დღიური“ („The Diary of a Teenage Girl“) (Bailey & Heller, 2015). IMDB – 6.9;
4. „აღშფოთება“ („Indignation“) (Bregman & Schamus, 2016). IMDB – 6.8;
5. „ბებია“ (“Grandma”) (Weitz & Weitz, 2015). IMDB – 6.7;
6. „ცდუნება“ (“The Beguiled”) (Coppola & Coppola, 2017). IMDB – 6.4;
7. „რამდენიმე ქალი“ (“Certain Women”) (Kopp & Reichardt, 2016). IMDB – 6.4;
8. „ოკჯა“ (“Okja”) (Bong & Bong, 2017). IMDB – 7.4;

9. „ინგრიდი მიდის დასავლეთით“ (“Ingrid Goes West”) (Goldman, & Spicer, 2017). IMDB – 6.7;

10. „ჯეინს სურს შეყვარებული“ (“Jane Wants a Boyfriend”) (Sullivan & Sullivan, 2015). IMDB – 6.8.

რაც შეეხება მონაცემების შეგროვების პროცესს, სიღრმისეულად იქნა შესწავლილი აღნიშნული ფილმები. ძირითადი ერთეულები იყო ის საკვანძო სიტყვები, ფრაზები, ციტატები და დიალოგები, რომლებიც პასუხს სცემდა საკვლევ კითხვასა და ამოცანებს. ვერბალურ საშუალებებთან ერთად არავერბალურ საშუალებებზეც (ქცევა, ჩაცმულობა, მიმიკა, ჟესტიკულაცია) მოხდა დაკვირვება.

საველე სამუშაოს დამთავრების შემდეგ დაიწყო მონაცემთა დამუშავების ეტაპი. უპირველეს ყოვლისა, განხორციელდა კატეგორიზება და გამოიყო 3 თემატური ჯგუფი, თითოეულმა მათგანმა კი მოიცვა 4 ქვე-კატეგორია: 1. ახალგაზრდა ქალების რეპრეზენტაცია (1.1. ფიზიკური მახასიათებლები; 1.2. სიშიშვლე და ვულგარულობა; 1.3. ქალთა საქმიანობა; 1.4. თვითშეფასება და ფსიქოლოგიური პორტრეტი); 2. ქალ და მამაკაც პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება (2.1. რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობები; 2.2. მამაშვილური ურთიერთობები; 2.3. სხვა ურთიერთობები); 3. ქალ პერსონაჟთა ურთიერთობა (3.1. რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობები; 3.2. დედაშვილური ურთიერთობები; 3.3. სხვა ურთიერთობები). ამის შემდეგ კი დაიწყო მონაცემთა ანალიზი და შეგროვებული ინფორმაცია აიხსნა არსებული კვლევებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მეშვეობით.

კვლევის შედეგებს ზღუდავს ის ფაქტი, რომ შერჩევა მწირია და არაა რეპრეზენტატული, რაც, რა თქმა უნდა, გენერალურ ერთობლიობაზე შედეგების განზოგადების საშუალებას არ იძლევა. ამას გარდა, ფილმები შერჩეულია მხოლოდ IMDB-ის რეიტინგით, ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ კვლევის მიღმა დარჩეს ამ თემისთვის მნიშვნელოვანი სხვა კინოსურათები.

2.1 ახალგაზრდა ქალების რეპრეზენტაცია

ფილმებში ახალგაზრდა ქალი პერსონაჟების სახე წარმოჩენილი იყო განსხვავებულ გარეგნულ და ფსიქოლოგიურ ჭრილში. მეტი თვალსაჩინოებისთვის, გამოიყო რამდენიმე ქვე-კატეგორია, რომელიც ფოკუსირებულია ახალგაზრდა ქალ პერსონაჟთა ფიზიკურ მახასიათებლებზე, სიშიშვლესა და ვულგარულობაზე, საქმიანობასა და პროფესიაზე და საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებებზე.

2.2 ფიზიკური მახასიათებლები

წარმოჩინდნენ როგორც სტანდარტული, ისე არაორდინალური გარეგნობის ქალი პერსონაჟები. ეს გულისხმობს, რომ კონკრეტულ ფილმებში არიან როგორც თეთრკანიანი, გამხდარი, უმეტესად ქერათმიანი, მოწესრიგებული და ფემინურად ჩაცმული პერსონაჟები, ასევე, ფერადკანიანი, ჭარბი წონის, მასკულინურად შემოსილი, მოუვლელი ქალები უჩვეულო ფიზიკური დეფექტებით. კერძოდ, „დიდებული შოუმენის“ ერთ-ერთ პერსონაჟს, სახელად ლეტის, აქვს წვერი (Mark & Gracey, 2017).

თინეიჯერ გოგონებს აცვიათ ყოველდღიური სტილის ტანსაცმელი: მაისურები, კომბინიზონები, ჯინსები, სპორტული მოსაცმელები, ხოლო ზრდასრულებს - უფრო მოკრძალებული, სადა და კლასიკური სამოსი. მათზე ხშირია ღია და ბაცი ფერების ტანსაცმელი: ღია ვარდისფერი, ცისფერი, კრემისფერი და თეთრი, რომელიც სიწმინდის და სისუფთავის ასოციაციას ტოვებს, რაც ფემინურობის სტერეოტიპული თვისებებია - სიმშვიდე, პასიურობა და კეთილშობილება (მერკვილაძე, 2013). მაგალითად, სოფია კოპოლას ფილმში „ცდუნება“, ყველა ქალი პერსონაჟი შემოსილია, ძირითადად, თეთრი ფერის კოჭებამდე სიგრძის კაბებით (Coppola & Coppola, 2017). ახალგაზრდა ქალებს აცვიათ მუხლს ქვემოთ კაბები და ქვედაბოლოები, ქუსლიანი ფეხსაცმელები, ნაქსოვი სვიტრები და აკადემიური სტილის პერანგები.

ფილმების ყველა მთავარი ქალი პროტაგონისტი თეთრკანიანია და, მართლაც, 2017 წლის სტატისტიკით, ფილმებში ძირითადად 70%-ზე მეტი ქალი პერსონაჟი თეთრკანიანია

(Smith, Choueiti & Pieper, 2017). ისინი, უმეტესად, მოვლილები და გამხდრები არიან, აქვთ სასიამოვნო გარეგნობა, მოწესრიგებული ვარცხნილობა და აცვიათ მოდურად, არ უსვიათ მკვეთრი მაკიაჟი და ბუნებრივად გამოიყურებიან. „ქალს, ყოველ შემთხვევაში, კარგ ქალს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს შესაფერისი ვარცხნილობა, ჩაცმულობა, სხეულის ფორმები, აღნაგობა...“ (Hyde, 2013:35). გამონაკლისი იმ შემთხვევაში გვხვდება, თუ პერსონაჟს არ აქვს შესაფერისი სოციალური ფონი იმისთვის, რომ თავის გარეგნობაზე იზრუნოს ან რეჟისორის მიერ განზრახ არის არამიმზიდველად წარმოდგენილი.

შეიძლება ითქვას, რომ ქალები, განსაკუთრებით, თუ ისინი ფილმის მთავარ პერსონაჟებს წარმოადგენენ, დახვეწილად, ფემინურად და ელეგანტურად გამოიყურებიან, უმეტეს შემთხვევაში სასიამოვნო გარეგნობის მოვლილი და ლამაზი ტანის მქონე თეთრკანიანები არიან. მსგავსი ტენდენციები ხშირად შეინიშნება ჰოლივუდის ფილმებში და უკვე ნორმას წარმოადგენს, რომ ქალები იყვნენ გამოსახულნი ფემინური თვისებებით, რომელებიც დაკავშირებულია ბუნებრივ სილამაზესთან, სინაზესთან. ეს ტენდეცია შეიძლება ფემინისტური დისკურსით აიხსნას, რომლის მიხედვითაც, „გენდერი წარმოადგენს ერთგვარ საკუთრებას, ქონებას, არა ინდივიდის, არამედ იმ ქცევების, რომლებსაც საზოგადოების წევრები მიაწერენ გენდერის მნიშვნელობას“ (Sarkar, 2014:49). შესაბამისად, ქალად ყოფნა გულისხმობს შესაბამის ქცევათა ათვისებას და კვლავწარმოებას. ამას შედეგად ის მოსდევს, რომ მიწერილი ქცევები, მანერები და ძირითადი თვისებები უკვე მათ ბუნებრივ მდგომარეობად გვესახება და არა რაიმე სახის თამაშად ან წარმოდგენად. მედია წარმოგვიდგენს სტერეოტიპულ გენდერულ სახეებს, რომლებიც უნდა აღიქვან და აითვისონ ქალებმა და საზოგადოების მხრიდან უკვე აღიარებული გზებით წარმოაჩინონ საკუთარი სილამაზე და გარეგნობა (Sarkar, 2014).

ფაქტობრივად, ჰოლივუდი მუდმივად განსაზღვრავს ქალთა ღირსებას მათ ვიზუალურ მონაცემებზე დაყრდნობით, რაც გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ქალი პერსონაჟები გამოიყურებოდნენ მედიის მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით,

რადგან მხოლოდ ამ გზით ხდება ქალის ნორმალური და ჩვეული, ანუ ფემინური იმიჯის შექმნა. მათი გარეგნობა, მიმზიდველობა და შარმი მათ მთავარ ატრიბუტებს წარმოადგენს.

2.3 სიშიშვლე და ვულგარულობა

კვლევისას გამოვლინდა, რომ ქალის შიშველი სხეულის რეპრეზენტაცია არც თუ ისე ხშირია. აღსანიშნავია, რომ 10 ფილმიდან სულ 2 ფილმში იყო ნაჩვენები თინეიჯერი გოგონას შიშველი სხეული. ერთ შემთხვევაში ეს გამოხატული იყო პერსონაჟის სურვილისამებრ, ხოლო მეორეში - ფიზიკური ძალადობის კონტექსტში. მინის სიშიშვლეს ფილმში „თინეიჯერი გოგონას დღიური“ სისტემატური ხასიათი აქვს, სადაც ხაზი ესმევა მის ფორმებს, რომლებიც არ არის იდეალური (Bailey & Heller, 2015), ხოლო „წყვდიადის ცხოველებში“, ჩანან სრულიად შიშველი, ხანშიშესული ქალები, სავსე ფორმებით, ნაოჭებითა და ცელულიტით (Salerno & Ford, 2016). სტივ კოზლოვსკის მიხედვით, ასაკოვანი ქალების შიშველი სხეულები, რომლებსაც არ ჰქონიათ პლასტიკურ ქირურგიასთან შეხება, არ არიან აღტაცებული მზერის ღირსნი და მათ აღიქვამენ, როგორც „არაესთეტიკურსა და საზიზღარს“ (Kozlowski, 1993:8). ამას ისიც მოწმობს, რომ 40 წელს გადაცილებულ ქალ პერსონაჟთა სექსუალიზება და მათი სხეულების წარმოჩენა ბევრად ნაკლებად ხდება თინეიჯერ გოგონათა და ახალგაზრდა ქალებთან შედარებით (Smith, 2017), რაც სავარაუდოდ იმით აიხსნება, რომ მოზარდი გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების სხეულების სექსუალურად წარმოჩენა ან გაშიშვლება ბევრად მიმზიდველია მაყურებლისთვის, ვიდრე 40 წელს გადაცილებული მდედრობითი სქესის პერსონაჟებისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალ პერსონაჟთა სხეულების სექსუალიზება ხშირად არ ხდება. თითქმის არცერთ შემთხვევაში მახვილდება ყურადღება ქალის ფორმებზე და არ წარმოჩნდება ერთგვარ სექსუალურ ატრიბუტად თუმცა, ბოლო წლებში ჩატარებული კვლევების შედეგები, გენდერულ რეპრეზენტაციასთან დაკავშირებით, საპირისპიროს

ამბობს. მაგალითად, 2017 წელს გამოქვეყნებული კვლევა, რომელმაც მოიცვა 900 ფილმი და ეხებოდა წარმოდგენილი გენდერული როლების შესწავლას, მოწმობს, რომ 2016 წლის ფილმებში ქალ პერსონაჟთა იმიჯი და გარეგნობა უმეტესწილად სექსუალიზებულია, სავსეა სიშიშვლით ან უბრალოდ მიმზიდველი თვისებებითაა წარმოჩენილი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სტატისტიკურად, სექსუალურ ტანსაცმელში წარმოდგენილ თინეიჯერ გოგონათა რიცხვმა და მათმა სიშიშვლემ საგრძნობლად იკლო 2016 წლის ფილმებში წინა წლის ფილმებთან შედარებით (Smith, 2017). შესაძლოა, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ დაფიქსირდა მოზარდ გოგონათა სექსუალურად წარმოჩენის ემთხვევა 10-დან 2 ფილმში.

ასევე, რამდენიმე ფილმში, მაგალითად, სოფია კოპოლას „ცდუნებაში“, ხაზი გაესვა ქალის სექსუალურ, მაცდურ ბუნებასა და განსაკუთრებულ ძალას. მაცდურობა ჯერ კიდევ ბიბლიიდან მოდის, როდესაც ევამ შეაცდინა ადამი და პირველმა შესცოდა. „ევა არამარტო ძველ, არამედ თანამედროვე კულტურაშიც მოიაზრება როგორც მაცდური, ცოდვილი, რომელიც „ქვევით“ ექაჩება ადამს” (მერკვილაძე, 2013:112).

შეიძლება ითქვას, რომ ქალთა შიშველი სხეულები ბოლო პერიოდის ფილმებში ნაკლებად ჩანს, მითუმეტეს, თითქმის საერთოდ არ ხდება მათი სექსუალიზება. აღნიშნული შედეგი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ამ თემის ირგვლივ მიმოხილულ ლიტერატურას და ჩატარებული კვლევების შედეგებს. თუმცა, ეს შესაძლოა იმით აიხსნას, რომ ნახსენები კვლევების უმეტესობა არ ასახავს 2015-2017 წლების რეალობას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ შემორჩენილია ქალთა დისკრიმინაციული და სექსისტური იმიჯი.

2.4 ქალთა საქმიანობა

ფილმებში შეინიშნება როგორც მაღალ თანამდებობაზე და ლიდერის პოზიციაში მყოფი, ისე ნაკლები გავლენის და ტრივიალური სამსახურის მქონე ქალი პერსონაჟები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პირველი ტიპი ხშირად წარმოჩენილია უარყოფით კონტექსტში

- აპათიურად და დაუნდობლად. ეს აძლიერებს იმ ვარაუდს, რომ მაშინაც კი, როდესაც ქალი პერსონაჟები მთავარ, უფლებამოსილ პირთა როლებში წარმოჩნდებიან, ხდება მათი უარყოფითად და შეზღუდულად რეპრეზენტაცია (Collins, 2011). ამის მაგალითია ლუსის პერსონაჟი ფილმიდან „ოკჯა“ (Bong & Bong, 2017). გამონაკლისია „წყვდიადის ცხოველების“ პროტაგონისტი ქალი, სიუზანი, რომელიც გავლენიანი ფიგურაა ხელოვნების სფეროში და ფლობს საკუთარ გალერეას (Salerno & Ford, 2016). ამის შესაბამისად, სტოკარდისა და ჯონსონის ნაშრომში ვკითხულობთ:

> *დღეს ქალების მიერ წაყვანილი საინფორმაციო გამოშვებები უფრო გავრცელებულია, ვიდრე ეს წლების წინ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თოქშოუ კვლავაც ინარჩუნებს მამრობითი დომინირების ტრადიციულ ნიმუშებს, არსებობენ შოუები, რომლებიც გვიჩვენებენ ქალებს როგორც პროფესიონალებს და საუბრობენ მოზარდის აღზრდაში არამარტო დედის, არამედ მამის მზრუნველობის აუცილებლობაზეც (Stockard & Johnson,1952:253).*

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მდივნის, მიმტანის, მრეცხავის პოზიციებზე, თითქმის ყველა ფილმში, მუშაობენ ქალები, როდესაც პოლიციელის ან მძიმე ფიზიკური სამუშაოს შემსრულებლებად გვევლინებიან მამაკაცები. ასევე, ლიდერებისა და ხელმძღვანელების პოზიციებზე - რეჟისორის, რესტორნის შეფის, სხვადასხვა დაჯგუფებებისა და გუნდის ლიდერის, ბრძანებისა და მიმართულების გამცემის როლში - მაინც ვხვდებით, ძირითადად, მამაკაცებს, ვიდრე ქალებს. ამას ადასტურებს კოლინსის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელშიც ნახსენებია, რომ ქალები, ტრადიციულად, ნაჩვენები არიან ფემინურ როლებში: არაპროფესიონალებად, დიასახლისებად, ცოლებად, დედებად და ქმრების სექსუალური მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებლებად (Collins, 2011:290).

აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა ქალ პერსონაჟებს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დაბალი რანგის სამსახური აქვთ. იმ შემთხვევაში, თუ ისინი იკავებენ მაღალ

თანამდებობას, უარყოფით კონტექსტში წარმოჩინდებიან. უგულებელყოფილია მათი ჯანსაღი ამბიცია და მიზანდასახულობა და ეს თვისებები ნაჩვენებია ნეგატიური კუთხით.

2.5 თვითშეფასება და ფსიქოლოგიური პორტრეტი

თითოეული პერსონაჟი ინდივიდუალური და განსხვავებულია, მიუხედავად ამისა, მაინც იკვეთება საერთო ტენდენციები. კერძოდ,ახალგაზრდა ქალ პერსონაჟთა უმეტესობა თავის თავში არ არის დარწმუნებული, ახასიათებს თვითკრიტიკული აზროვნება და დაბალი თვითშეფასება. მაგალითად, ლეტი ირონიული და გროტესკულია საკუთარი თავის მიმართ, იმის გამო, რომ ფიზიკური დეფექტი აქვს, დაკომპლექსებულია და ხალხში იშვიათად ჩნდება (Mark & Gracey, 2017). საკუთარი თავის რწმენა არ აქვს თინეიჯერ მინისაც: „ძალიან მახინჯი ბავშვი ვიყავი. ჩემი გარეგნობა დროთა განმავლობაში არც ისე გაუმჯობესებულა, ამიტომ ალბათ გამიმართლა ახალგაზრდა რომ ვარ...“ (Bailey & Heller, 2015). ლინჩი და მეიერსი მიიჩნევენ, რომ მოზარდი გოგონების თვითშეფასების ხარისხი პირდაპირ კავშირშია მათ სხეულებთან. მეტიც, ეს უკანასკნელი ერთგვარი ფილტრის როლს ასრულებს მედიის გავლენასა და თვითშეფასებას შორის. პროპორციებს უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გოგონებისთვის, ვიდრე ბიჭებისთვის, რაც არ არის გასაკვირი, იმ ფონზე, რომ უკვე ათწლეულებია, რაც ქალის სხეული ყველაფრის გასაყიდად გამოიყენება - დაწყებული მანქანით, დამთავრებული სუნამოთი. ლინჩისა და მეიერსის მონაცემები ცხადყოფს, რომ ის გოგონები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კულტურის იდეალურ ტენდენციებს ერგებიან, თავს ბევრად კარგად გრძნობენ (Lynch & Myers, 1999).

ფილმებში მოზარდი გოგონების ძირითადი პიროვნული თვისებებია ემოციურობა, აგრესიულობა, თვითკრიტიკულობა და ახასიათებთ მოზღვავებული სექსუალური მოთხოვნილებები. ამას ადასტურებს ფილმი „ცდუნება“, სადაც მოზარდი გოგონას პერსონაჟი, სახელად ალისია, აქტიურად იჩენს სექსუალურ ინტერესებს უფროსი მამაკაცი პერსონაჟის მიმართ (Coppola & Coppola, 2017). რაც შეეხება, ემოციურობასა და

აგრესიულობას, კარგადაა გამოკვეთილი ფილმში „ოჯკა“, სადაც რედის პერსონაჟი აჩვენებს საკუთარ თამამ, უხეშ და ცივ დამოკიდებულებას გარშემომყოფთა მიმართ, თუმცა, ემოციურიცაა და გამოირჩევა თანაგრძნობით (Bong & Bong, 2017), რომლითაც ხდება ტიპური ფემინური თვისებების გამეორება პერსონაჟებში, მიუხედავად იმისა, რომ შეიმჩნევა მცდელობები მდედრობითი სქესის პერსონაჟებს მიაწერონ მასკულინური თვისებები, როგორებიცაა გამბედაობა და აგრესიულობა.

შეიძლება ითქვას, რომ ქალ პერსონაჟებს ახასიათებთ დაბალი თვითშეფასება, რაც იწვევს სწრაფვას თვითგანადგურებისკენ. ასეთი დამოკიდებულება ხშირად გამოწვეულია მათი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე. ასევე, ისინი არიან ემპათიურები, ემოციურები და მომთმენები. კონკრეტულად თინეიჯერი გოგონების დამახასიათებელ თვისებებად კი, ძირითადად, წარმოჩენილია აგრესიულობა, აფექტურობა და სექსუალური აღგზნებულობა.

3. ქალ და მამაკაც პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება

ზემოთ აღნიშნული პერსონაჟი ქალები სახეცვლილებას განიცდიან მაშინ, როდესაც საპირისპირო სქესის ადამიანების გვერდით ხვდებიან. დამოკიდებულებები განსხვავებულია კაცების სტატუსის მიხედვით, რაც ქვეკატეგორიების გამოყოფით აისახა.

3.1 რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობები

ზოგადად, ქალი პერსონაჟები წარმოდგენილები არიან, როგორც მათ გარშემომყოფთა, განსაკუთრებით, მამაკაც პერსონაჟთა ემოციური და სულიერი მხარდამჭერები. როგორც ჰოჯატი და გონელა აღნიშნავენ, ქალები მეტი თანაგრძნობითა და მზრუნველობით გამოირჩევიან, ვიდრე მამაკაცები (Hojat, Gonnella, 2002). შერჩეულ ფილმებში ხშირია სცენები, სადაც მამაკაცი დადარდიანებული ან ჩაფიქრებულია, სურს საკუთარ ფიქრებზე საუბარი, ხოლო ქალი პერსონაჟი ცდილობს წაახალისოს, შეაგულიანოს, გაამხიარულოს იგი ან უბრალოდ მის გვერდითაა და უსმენს მას. მსგავსი სცენები არც ისე ხშირია მამაკაც პერსონაჟებს შორის.

კინოსურათებში კარგადაა ნაჩვენები ის ცხოვრებისეული დილემა, რომელიც ახალგაზრდა შეყვარებული ქალების წინაშე დგას. ძალიან ხშირად მათ უწევთ არჩევანის გაკეთება კარიერასა და სასიყვარულო ურთიერთობებს/ოჯახს შორის, სადაც უკანასკნელს ენიჭება პრიორიტეტი, მაშინ როდესაც მამაკაც პერსონაჟთა შემთხვევაში თითქმის ყოველთვის პრიორიტეტულია კარიერა (Tisell, 2006). ხშირად, კარიერის არჩევა გულისხმობს გარკვეული სახის მსხვერპლზე წასვლას, თუმცა, პირველის შემთხვევაში შედეგი შესაძლოა ქმრის ან პარტნიორის სიყვარულის, სითბოს და ინტერესის ნაკლებობა გახდეს, გარდა ამისა, ამ დროს ხელი ეშლებათ შვილებთან ურთიერთობაში ან სხვა სახის დაბრკოლებები ექმნებათ. მაგალითად, ფილმში „დიდებული შოუმენი“ ჩერიტი საყვარელი მეუღლის გამო უარს ამბობს მშობლებზე, მატერიალურ კეთილდღეობასა და საკუთარ მიზნებზე: „მე გავრისკე ყველაფერი, რომ შენთან ერთად ვყოფილიყავი“ (Mark & Gracey, 2017, 1:08:40). ქალების მიერ საკუთარი პარტნიორების ან ქმრების მიმართ დაქვემდებარება შემდეგნაირად აიხსნება - თუ ქალი აირჩევს საკუთარ კარიერას და ფოკუსირებული იქნება თავის საქმიანობაზე და შესაბამისად, ყურადღებას მოაკლებს ქმარს და დაკარგავს „კარგი ცოლის“ ან „სამაგალითო დედის“ სტატუსს, მისი ქმარი ან პარტნიორი შესაძლოა სხვა ქალებით დაინტერესდეს, რაც ქალზე ერთგვარი მანიპულირების საშუალება იქნება, იმისთვის, რომ ის დაუბრუნდეს მორჩილი ცოლისა და კარგი დედის სტატუსს, კარიერასა და აქტიურ საქმიანობაზე უარის თქმით (Hyde, 2013).

ლიტერატურის უმრავლესობაში, სადაც ქალებზეა საუბარი, მიიჩნევა, რომ ისინი დაქვემდებარებულ როლში არიან კაცების წინაშე. მამაკაცებს უფრო მცირე ძალაუფლება აქვთ საზოგადოებაზე ან სამყაროზე, ვიდრე თავიანთ ცოლებზე. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ბევრი გლეხი ქალი მზადაა დაიტანჯოს კაცის მკლავებში. მიხელსონი და გოლდშმიტი (1971) ორმოცდაექვსი გლეხური ოჯახის შესწავლის შემდეგ ირწმუნებიან, რომ თითქმის ყველა მათგანში დომინანტი მამრობითი სქესის წარმომადგენელია. „ქალები

წარმოდგენილნი არიან, როგორც მოდერნიზატორები, რომლებიც უბიძგებენ საკუთარ ქმრებს ახალი ცხოვრების დაწყებისკენ“ (Hutson, 1971:58).

კონტენტ-ანალიზის დროს გამოვლინდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი - კაცი პერსონაჟები მეტ სისუსტეს ავლენენ ქალებთან შედარებით და მეტად მგრძნობიარეები ხდებიან. ამასთან ერთად, ქალებს მეტი გავლენა აქვთ მამაკაცების გადაწყვეტილებებზე. ლევინისა (1971:18) და ნელსონის (1974:553) თანახმად: „ქალები იქცევიან სოციალურ აქტორებად, იყენებენ ყველანაირ რესურსს, რომელიც მათ მიზნების მიღწევის შესაძლებლობას მისცემს... ქალებს, ისევე, როგორც მამაკაცებს, შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი „შესაფერისი“ ქცევა, რათა მანიპულაცია მოახდინონ ადამიანებსა და ობიექტებზე დაუყოვნებლივი და ინდივიდუალური მიზნების განხორციელების დევნაში“. ბოლო წლებში ბევრი მკვლევარი დაინტერესდა ქალთა როლის მნიშვნელობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ქალები, ხშირად, დომინანტურ როლს ასრულებენ, გარკვეულ ძალას ფლობენ, წვლილი შეაქვთ და აკონტროლებენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს (Rogers, 1975:2). ამის მაგალითია სოფია კოპოლას ფილმი „ცდუნება“, რომლის მიხედვითაც ექვსი ქალის გარემოცვაში მყოფი მამაკაცი, საბოლოოდ, დაუცველია და მათი მსხვერპლიც ხდება (Coppola & Coppola, 2017, 00:41:39).

მეორე მხრივ, აღსანიშნავია ახალგაზრდა ქალთა ის ტიპი, რომელიც არჩევანს სიყვარულსა და მატერიალურ კეთილდღეობას შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ აკეთებს, თუმცა, შემდეგ მთელი ცხოვრება ნანობს ამ ნაბიჯს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა მიერ საკუთარი მატერიალური ინტერესების გათვალისწინება პირად ცხოვრებაში წარუმატებლობას იწვევს.

რთულია იმის თქმა, რომ ქალები მუდმივად წარმოდგენილები არიან მსხვერპლებად, მაგრამ აშკარაა, რომ ისინი მზად არიან გაიღონ მსხვერპლი ქმრების ან პარტნიორების კეთილდღეობისთვის და განზე გაწიონ საკუთარი კარიერული ინტერესები.

ფაქტობრივად, მათი მთავარი დანიშნულება კაცების მხარდაჭერა და მათი სექსუალურად დაკმაყოფილებაა.

3.2 მამაშვილური ურთიერთობები (ოჯახური ურთიერთობები)

ცალკე უნდა გამოიყოს ქალი პერსონაჟების დამოკიდებულება მამებისადმი და პირიქით. შეინიშნება მამების მესაკუთრეობა ქალიშვილების მიმართ. მაგალითად, ჩერიტის შემთხვევაში, მამა მთლიანად განსაზღვრავს მის ცხოვრებას, მუდმივად კონტროლის ქვეშ ჰყავს და გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების საშუალებას არ აძლევს (Mark & Gracey, 2017). გარკვეული კვლევების მიხედვით, მამის როლი მეტად დისციპლინარულია, ამიტომ დედები ითავსებენ ზედამხედველების ფუნქციას (Starrels, 1994). თუმცა, მამები გავლენას ახდენენ შვილების განვითარებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მათთან პირდაპირი და არაპირდაპირი ინტერაქციის მეშვეობით. ისინი ხელს უწყობენ ბავშვთა დადებით კორექტირებას და პირიქით, უარყოფით გავლენას ახდენენ ქალიშვილების სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებაზე (Cummings, GoekeMorey & Raymond, 2004; Cummings & O'Reilly,1997).

აღნიშნული შედეგისგან განსხვავებით, არაერთ ფილმში გამოიკვეთა ის, რომ გოგონებს უკეთ გამოსდით მამებთან ურთიერთობა, ვიდრე – დედებთან. ეს აშკარაა „რამდენიმე ქალში", სადაც თინეიჯერ გოგონასა და დედამისს, ჯინას შორის კომუნიკაცია მუდმივად საჭიროებს ჯინას მეუღლის ჩარევას (Kopp & Reichardt, 2016).

რაც შეეხება და-ძმურ ურთიერთობებს, გამოიყო მათი წარმოჩენის მთავარი ტენდენცია, რაც ხაზს უსვამს ერთმანეთის დაცვის ინსტინქტს - ყველა ფილმში, ამგვარი ურთიერთობების არსებობის შემთხვევაში, და და–ძმა ერთმანეთს აქტიურად უჭერენ მხარს და ცდილობენ დაიცვან ერთმანეთი.

მოცემული ქვე-კატეგორია ცხადყოფს, რომ ახალგაზრდა ქალების ურთიერთობები მამებთან არაერთგვაროვანი და რთულია. მამების გარკვეული კატეგორია ეგოიზმსა და დაუმსახურებელ სიმკაცრეს იჩენს ქალიშვილებისადმი, იმიტომ, რომ მათ თავიანთ

საკუთრებად აღიქვამს. თუმცა, ნაწილი მათთან თბილი და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ამჯობინებს და დედის ადგილის ჩანაცვლებასაც კი ახერხებს. და-ძმური ურთიერთობისას იკვეთება ურთიერთპატივისცემა, მხარდაჭერა და სიყვარული.

3.3 მეგობრული ურთიერთობები

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ქალ და მამაკაც პერსონაჟთა შორის მეგობრული ურთიერთობები არ იყო საკმარისად წარმოჩენილი ფილმებში, რის გამოც, მნიშვნელოვანი შედეგების შეგროვება ვერ მოხერხდა, რაც შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ ჰოლივუდის ფილმებში ქალისა და მამაკაცის მეგობრული ურთიერთობების რეპრეზენტაცია ფაქტობრივად საერთოდ არ ხდება. გამოდის, რომ მათ შორის შესაძლებელია მხოლოდ სასიყვარულო, სექსუალური ან ნათესაური კავშირების არსებობა. მიუხედავად დოკუმენტირებული უპირატესობებისა და ქალისა და კაცის მეგობრული ურთიერთობის შესაბამისობის ზრდისა, მეგობრობის ეს ფორმა არ არის სათანადოდ შესწავლილი, დაფასებული და გამოყენებული აკადემიკოსების, საერო პირებისა და პროფესიონალების მიერ (Werking, 1997).

შეიძლება ითქვას, რომ მეგობრული ურთიერთობების წარმოჩენა საპირისპირო სქესთა შორის არის სტერეოტიპული, რაც აძლიერებს იმ დამოკიდებულებას, რომ ქალსა და კაცს შორის მეგობრობა ან შეუძლებელია, ან ზედაპირული და გააჩნია მხოლოდ რომანტიკულ ან სექსუალურ ურთიერთობაში გადაზრდის პერსპექტივა.

3.4 სხვა ურთიერთობები

კვლევის დროს გამოიკვეთა ისეთი ურთიერთობებიც, რომლებიც ქალებს სრულიად უცხო მამაკაცებთან აქვთ. მათ მიერ გამოვლენილი განწყობები ქალ პერსონაჟთა მიმართ, ძირითადად, ზედაპირულობით გამოირჩევა და ხაზს უსვამს არასერიოზულ ან თუნდაც, აგრესიულ დამოკიდებულებებს. მაგალითად, უარყოფით კონტექსტშია ნაჩვენები მოძალადე ბიჭების დამოკიდებულება ინდიას მიმართ: „წყეული ბოზი, ნაბიჭვარი“ (Salerno & Ford, 2016, 00:25:25).

ასევე, სრულიად უცხო მამაკაცების მხრიდან ვაწყდებით იმგვარ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს, რომელთა მიხედვითაც, ახალგაზრდა ქალების აზრი ნაკლებად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალია და კაცზე ნაკლები ძალაუფლება გააჩნია. ამის გამო, ეს უკანასკნელნი ხშირად უკუაგდებენ და უარს ამბობენ სიმართლეზე: „მეჩვენება, თითქოს ყველაფერი ბევრად მარტივი იქნებოდა კაცი რომ ვყოფილიყავი - მე ავუხსნიდი ადამიანებს თავიანთ უფლებებს, და ისინი უბრალოდ დამეთანხმებოდნენ თავის ქნევით“ (Kopp & Reichardt, 2016, 00:10:23). მირიდისმა და ქოულმა (1980) და ბროვერმენმა (1972) აღნიშნეს, რომ ხდება ნეგატიური სტერეოტიპების გავრცელება იმ ქალების შესახებ, რომელთაც სურთ მაღალი პოზიციების დაკავება. ვრცელდება სტერეოტიპები, რომ ქალები მუშაობენ მხოლოდ ფულისთვის; ისინი არ არიან სამუშაოს ერთგულნი; არ არიან ემოციურად და ინტელექტუალურად მიდრეკილნი იმ სამუშაოებისადმი, რომლებსაც ტრადიციულად მამაკაცები ასრულებენ; ქალებს არ შეუძლიათ კოორდინირებულნი იყვნენ სამუშაოზე ოჯახურ მიზნებთან ერთად (Mirides & Cole, 1980, Broverman, 1972).

ფილმებში ქალსა და კაცს შორის წარმოჩენილი თითქმის ყველა სახის ურთიერთობა არის სტერეოტიპებზე დამყარებული – ხშირია არასერიოზული, ზედაპირული და აგრესიული დამოკიდებულებები, იქნება ეს უბრალო ნაცნობებთან ურთიერთობა, თუ მიმართებები ერთმანეთისთვის სრულიად უცნობ პერსონაჟებს შორის.

4. ქალ პერსონაჟთა ურთიერთობა

ფილმებში ცალკე ხაზი აქვს ქალი პერსონაჟების დამოკიდებულებას ერთმანეთისადმი. შესაბამისად, წინის მსგავსად, მოცემული კატეგორიაც დაიყო 4 ქვეკატეგორიად:

4.1 რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობები

რომანტიკული და სექსუალური ურთიერთობები შეინიშნება არა მხოლოდ მამაკაცსა და ქალს, არამედ ახალგაზრდა ქალებს შორისაც. მათი სიახლოვე წარმოჩინდება ნაზი, მგრძნობიარე, სუფთა გრძნობით, რომელიც პერსონაჟებს ავიწყებს პრობლემებს,

უქარვებს დარდსა და ტკივილს. ამგვარი ურთიერთობები შესაძლოა აღიქმებოდეს, როგორც რთული ემოციური მდგომარეობის ან მარტოობის გადასალახი საშუალება და ამას თავისი ახსნაც აქვს - ლი ელკინსისა და ქრისტოფერ პიტერსონის კვლევის, „გენდერული განსხვავებები საუკეთესო მეგობრებში“ (1993), მიხედვით, ქალთა შორის ურთიერთობას გააჩნია თერაპიული და ემოციური სიახლოვის კომპონენტი, რადგან მას, ზოგადად, ახასიათებს „ინტიმურობა და ემპათიური გაგება“, რომელიც შესაძლოა არ გვხვდებოდეს მამაკაცებს შორის ურთიერთობის დროს (Elkins, Peterson, 1993:2). მაგალითად, ფილმში „რამდენიმე ქალი“, ორი ახალგაზრდა ქალის სასიყვარულო კავშირი დროებით აქარწყლებს მათ მარტოსულობასა და დარდს (Kopp & Reichardt, 2016).

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა რომანტიკული ურთიერთობები ინტენსიურ ხასიათს არ ატარებს, მაინც არსებობს რამდენიმე მაგალითი, რომელიც ცხადყოფს, რომ მათი გრძნობა ისეთივე წრფელი და ნამდვილი შეიძლება იყოს, როგორიც ქალსა და მამაკაცს შორის დამყარებული კავშირია.

4.2 დედაშვილური ურთიერთობები (ოჯახური ურთიერთობები)

მამაშვილური ურთიერთობებების მსგავსად, კინოსურათებში მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს დედებისა და ქალიშვილების ურთიერთობებს, რადგან ახალგაზრდა ქალების გადაწყვეტილებები ყოველთვის ეთანადება მშობლის რჩევასა თუ კრიტიკას, რაც მათში გაღიზიანებას და პროტესტის გრძნობას აღძრავს. გოგონები, ხშირად, არასწორ ნაბიჯებს დგამენ - ზოგ შემთხვევაში მათი მიზანი დედის გავლენისგან გათავისუფლება და მის წინააღმდეგ წასვლაა, ზოგჯერ კი - მისთვის კმაყოფილებისა და სიამოვნების მინიჭება. ამის მაგალითია სიუზანი, რომელიც, მიუხედავად განსხვავებული აზრისა, თავის ცხოვრებას დედის რჩევისამებრ წარმართავს (Salerno & Ford, 2016, 00:54:18).

დედისა და ქალიშვილის ურთიერთობა საკმაოდ კომპლექსურია თავისი არსით (Smith, Mullis, 1995). სწორედ დედები განიხილებიან მისაბაძ მაგალითებად გოგონებისთვის

(Usmiani & Daniluk, 1997). ბევრ შემთხვევაში, პრობლემას დედა-შვილურ ურთიერთობაში წარმოშობს ის, რომ ისინი ზედმეტად დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, გვანან ერთმანეთს და ამის შეცვლას ემოციური დისტანცირებით ცდილობენ (Caplan, 2000). მაგალითად, სეიჯი დედას გაურბის და მას საკუთარი პრობლემების შესახებ არაფერს უყვება (Weitz & Weitz, 2015). დებოლდისა და უილსონის მიხედვით (1994:36), „დედები იძულებულნი არიან, თავი შორს დაიჭირონ თავიანთი ქალიშვილებისგან იმისათვის, რომ შექება დაიმსახურონ „დედობრივი უფლებისთვის", თუმცა, იმ დროში, როდესაც ისინი საჭიროებენ სტაბილურობასა და ნდობას, ეს მიტოვება გოგონეში გაძლიერების მაგივრად იწვევს სისუსტესა და მიდრეკილებას". დედები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გოგონათა თვითშეფასების ჩამოყალიბების პროცესში (Thornton, Chatters, Taylor, & Allen, 1990). უფრო მეტიც, შოლომსკასი და აქსელორდი (1986) ამტკიცებენ, რომ როდესაც დედები მხარს უჭერენ და ინტერესდებიან მათი იდეებით, ქალიშვილები ფსიქოლოგიურად უფრო მდგრადები ხდებიან. მინის ჩაკეტილობა, დაბალი თვითშეფასება, მელანქოლიური ხასიათი და ემოციური არასტაბილურობა სწორედ დედის სითბოს ნაკლებობამ განაპირობა (Bailey & Heller, 2015).

რომ შევაჯამოთ, დედები დადებითთან ერთად უარყოფით როლს ასრულებენ ქალიშვილების ცხოვრებაში. მათ მიერ გაცემულ რჩევას ან კონკრეტული სახის მოქმედებას შეუძლია ახალგაზრდა ქალი პიროვნულად გაზარდოს და გააძლიეროს, საკუთარი თავის რწმენა შესძინოს და, ამავე დროს, დააკომპლექსოს, უარი ათქმევინოს პირად სურვილებზე.

4.3 მეგობრული ურთიერთობები

რაც შეეხება მეგობრებს, ფილმებში მათი სერიოზული ზეგავლენა ერთმანეთზე არ იგრძნობა, თუმცა, აშკარაა მხარდაჭერა და რჩევის მიცემა: „გძინავს მაინც? ფსიქოლოგს დაუკავშირდი? შენ გამო ძალიან ვნერვიულობ" (Salerno & Ford, 2016, 00:10:27).

აუცილებელია ითქვას, რომ უკვე ნახსენები ელკინსისა და პიტერსონის (1993) კვლევის მიხედვით, საპირისპირო სქესებს შორის მეგობრობაზე საუბრისას, აღსანიშნავია, რომ უფრო სრულფასოვანია ქალებს, ვიდრე მამაკაცებს შორის დამყარებული მეგობრული ურთიერთობა. არ არის გასაკვირი, რომ ქალები თავიანთ მეგობრობას მიიჩნევენ მეტი სიახლოვის მქონესა და უფრო დამაკმაყოფილებელს, ვიდრე მამაკაცები. მეტიც, ორივე სქესის ადამიანები ქალებთან დამყარებულ მეგობრულ ურთიერთობებს ახასიათებენ, როგორც ბევრად მეტი სიახლოვითა და ემოციური კმაყოფილებით სავსეს (Elkins, Peterson, 1993).

ფილმებში ახალგაზრდა ქალების მეგობრობა საკმაოდ მყარია. ისინი განიცდიან ერთმანეთის პრობლემებს და ცდილობენ, რთულ სიტუაციებში დახმარებასა და რჩევის მიცემას. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, დედებისგან განსხვავებით, მათი გავლენა ერთმანეთზე სუსტია და მეგობრები, ხშირად, არ ითვალისწინებენ ერთმანეთის ნათქვამს.

4.4 სხვა ურთიერთობები

საყურადღებოა მთავარი პერსონაჟი ქალების ურთიერთობა მეორეხარისხოვან პერსონაჟ ქალებთან. ეს უკანასკნელნი, ძირითადად, უარყოფით დამოკიდებულებას ავლენენ ახალგაზრდა ქალ პროტაგონისტთა მიმართ და მათ პიროვნულად აკნინებენ.

რამდენიმე ფილმში გამოიკვეთა ქალ პერსონაჟთა შორის კონკურენცია და ქიშპობა, განსაკუთრებით, თუ ეს დაკავშირებული იყო მამაკაცთან ან კარიერულ წინსვლასთან. წარმატების მოპოვება ერთმანეთის ზიზღს იწვევს, რასაც არც მალავენ და ყველანაირად ცდილობენ, საჯაროდ გაამახვილონ ყურადღება ერთმანეთის ნაკლზე. ქიშპობა და კონკურენცია ქალებს შორის სხვდასხვა მიზეზით შეიძლება არსებობდეს - ეს, შესაძლოა, იყოს შეჯიბრი მამაკაცის გამო, ან სურვილი იმისა, რომ საკუთარი შვილები აკადემიური მოსწრებით ან უბრალოდ გარეგნობით უკეთესები იყვნენ თავისი მეზობლის შვილებზე. ამ შემთხვევებში, კონკურენცია, მათ შორის, მამაკაცების მხრიდან აღიქმება გულღვარძლიან ქცევად. „ასეთ ქცევას ხშირად ვერ შევხვდებით ინტელექტუალურ და რაციონალური

აზროვნების მქონე მამაკაცებში“ (Hyde, 2013:31). მართლაც, საერთო ჯამში, გოგონებსა და ახალგაზრდა ქალებს შორის ქიშპობა ბევრად ხშირად შეინიშნება, ვიდრე კაცებს შორის. ისინი მეტად კონკურენტულები და დაუნდობლები არიან ერთმანეთის მიმართ, არ ერიდებიან ერთმანეთის გულის ტკენასა და დაკნინებას და ფიქრობენ, რომ მიზნის მისაღწევად ყველა გზა გამართლებულია, თუნდაც ეს სხვას შეურაცხყოფდეს.

დასკვნა

კვლევის თანახმად, ახალგაზრდა ქალები 21-ე საუკუნის ჰოლივუდურ დრამებში რეპრეზენტირებულნი არიან სასიამოვნო გარეგნობითა და ჩაცმულობით, მგრძნობიარე ბუნებითა და გულისხმიერებით. გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც მათ სისუსტეს განაპირობებს - საკუთარი თავის რწმენის ნაკლებობა და ზედმეტი თვითკრიტიკა. სწორედ ამ მახასიათებლების გამო, ახალგაზრდა ქალებს, განსაკუთრებით თინეიჯერებს, დეპრესიისკენ აქვთ მიდრეკილება და პრობლემის გადაჭრის გზებს სუიციდში ხედავენ. თუმცა, არიან დომინანტი, ლიდერი ბუნების მქონე პერსონაჟებიც, რომლებსაც შეუძლიათ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებზე ზეგავლენის მოხდენა.

გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ ახალგაზრდა ქალები მამაკაცებთან ურთიერთობაში ერთგულები და მოსიყვარულეები არიან. ისინი, უმეტესად, უარს ამბობენ საკუთარ მიზნებზე და ოცნებებზე და თავს ოჯახსა და მეუღლეს უძღვნიან. თუმცა, გვხვდება შედეგზე ორიენტირებული და პრაგმატული კატეგორიაც, რომელიც არა გულით, არამედ გონებით მოქმედებს. რაც შეეხება მამაშვილურ ურთიერთობებს, ისინი დაძაბული ხასიათისაა და უარყოფით ჭრილშია განხილული. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა არცერთ ფილმშია წარმოჩენილი.

2015-2017 წლების ფილმებში წინ წამოწეულია ახალგაზრდა ქალების რომანტიკული და ინტიმური ურთიერთობები, რომელიც ზოგ შემთხვევაში სუფთა გრძნობითა და ემოციური კავშირით ხასიათდება, ხოლო ზოგჯერ - მხოლოდ სექსუალური

მოთხოვნილებებით. დედაშვილური ურთიერთობისას მკვეთრადაა გამოხატული ქალიშვილების პროტესტი დედებისა და მათთან მსგავსების მიმართ და მშობლების გავლენა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამას გარდა, ახალგაზრდა ქალები ხან ერთმანეთის მეტოქეებად გვევლინებიან, ხან კი - მთავარ გულშემატკივრებად.

აღნიშნული თემა აქამდეც ყოფილა შესწავლილი, მაგრამ, ძირითადად, ყურადღება მახვილდებოდა ახალგაზრდა ქალების სხეულზე და მათი იმიჯის სექსუალიზებაზე. ამ კვლევამ კი გამოყო ყოფითი ურთიერთობების სხვადასხვა მახასიათებელი, როგორც საპირისპირო სქესთან, ისე საკუთარი სქესის წარმომადგენლებთან მიმართებაში. ამასთანავე, წარმოაჩინა ისეთი პრობლემატური თემები, როგორებიცაა: სუიციდის მცდელობა და მრავალგვარი კომპლექსი თინეიჯერ გოგონებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bailey, M. (Producer), & Carey, A. (Producer), & Hamelinck, B. (Producer), & Shapiro, M. (Producer), & Heller, M. (Director). (2015). *The Diary of a Teenage Girl.* United States: Archer Gray
2. Brady, L. (Producer), & Sullivan, W. (Producer/Director). (2015). *Jane Wants a Boyfriend*. United States: Copperline Creative
3. Bregman, A. (Producer), & Teixeira, R. (Producer), & Schamus, J. (Director). (2016). *Indignation.* United States: BFB Entertainment
4. Choi, D., Gardner, D., Kim, L. T., Kleiner, J. (Producers), & Bong, J.H. (Producer/Director). (2017). *Okja.* United States: Plan B Entertainment
5. Cohen, L., Manion, L., & Morrison, K. (2007). *Research methods in education*. London: Routledge.
6. Collins, R. L., (2011). *Content analysis of gender roles in media: Where are we now and where should we go?. Sex Roles,* 64(3-4), 290-298.
7. Cummings, E.M. and Watson O'Reilly, A. (1997)., *Effects of marital quality on child adjustment.*
8. *In Lamb, M. E. (Ed).* (1997) The role of the father in child development, 3rd ed. (pp. 49-65).
9. Dougas, T. (Producer), & Kasidokostas-Latsis, P. (Producer), & Miano, A. (Producer), Weitz, P. (Producer/Director). (2015). *Grandma.* United States: 1821 Media
10. Elkins, L. E., & Peterson, C. (1993). *Gender differences in best friendships.* Sex Roles 29 (7-8): 497-508.
11. Fischer, S., (2010). *Powerful or Pretty: A Content Analysis of Gender Images in Children's Animated Films*. Master's thesis. Auburn University.

12. Goldman, J., Mirels, A., Mirels, R., Plaza, A., White, T., White, T. (Producers), & Spicer, M. (Director). (2017). *Ingrid Goes West.* United States: Star Thrower Entertainment
13. Henley, Y. (Producer), & Coppola, S. (Producer/Director). (2017). *The Beguiled*. Unites States: American Zoetrope
14. Hojat, M., Gonnella, J., (2002)., *Physician Empathy: Definition, Components, Measurement, and Relationship to Gender and Specialty,* American Psychiatric Association
15. Hutson, S., (1971)., *Social Ranking in a French Alpine Community*. In Gifts and Poison. F. G. Bailey, Ed. New York: Schocken Books. pp. 41 -68.
16. Hyde, K. C. (2013). *Reflections of Gendered Expectations – Representation of Women in American Film.* 総合文化研究第18巻第2・3号合併号 (30).
17. Kopp, N., Savino, V., Savjani, A. (Producers), & Reichardt, K. (Director). (2016). *Certain Women.* United States: Stage 6 Films.
18. Kozlowski, J., (1993), Women, Film and the Midlife Sophie's Choice: Sink or Souzatzka? *In Menopause: A Midlife Passage.* Edited by J.C. Callahan, 3-22. Bloomington: University of Indiana Press
19. LaGamba, J. L. (2012). *Shaping Identity: Male and Female Interactions in Cinema.* Graduate Theses and Dissertations. University of South Florida: Department of English.
20. Letts, G. K., (2008). *Changing Representations of Women in Popular Culture.*
21. Lewin, E., Collier, J., Rosaldo, M., Fjellman, J., (1971)., *Power Strategies and Sex Roles*. Paper presented at the 70th Annual Meeting of the American Anthropological Association, New York.
22. Mark, L. (Producer), & Chernin, P. (Producer), & Topping, J. (Producer), & Gracey, M. (Director). (2017). *The Greatest Showman.* United States: Chernin Entertainment Seed Productions

23. Nelson, C., (1974), *Public and Private Politics: Women in the Middle Eastern World.* American Ethnologist Female Roles and Male Dominance among Peasants. Southwestern Journal of Anthropology 27: 330-352. 1 :551-563.
24. Polce-Lynch, M., Myers, B. J., Kliewer, W., & Kilmartin, C. (2001). *Adolescent self-esteem and gender: Exploring relations to sexual harassment, body image, media influence, and emotional expression. Journal of Youth and Adolescence,* 30(2), 225-244.
25. Rogers, S., (1972), *The Acceptance of Female Roles in Rural France.* Honors thesis. Brown University.
26. Salerno, R. (Producer), & Ford, T. (Producer/Director). (2016). *Nocturnal Animals.* United States: Fade to Black
27. Smith, S. L. (2016). *Inequality in 800 Popular Films: Examining Portrayals of Gender, Race/Ethnicity, LGBT, and Disability from 2007-2015. Annenberg Foundation.*
28. Stockard, J., & Johnson, M. M. (1992). *Sex and gender in society*. Englewood Cliffs, New Jersey: Prentice Hall.'